





მარკ ბელსენი • ოლგა შავერნა

# აუტისტი ბავშვი

სახელმძვანელო მუხლებისთვის

მარკ ბელასენი, ოლგა შავერნე  
აუტიზტი ბავშვი  
სახელმძღვანელო მშობლებისთვის

Marc Belhassen Olga Chaverneff  
L'ENFANT AUTISTE  
un guide pour les parents

მთარგმნელები: ნინო ზარდიაშვილი  
მარინე ტარასაშვილი  
ირინა თავბერიძე

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია

© 2006, Éditions Louis Audibert, Paris  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014, 2018  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-462-5

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	13
შესავალი.....	15

### თავი 1: ნუთუ ჩამი შვილი აუტისტია?

ბანმარტბა, აუტიზმის რისკ-ფაქტორები და პირველი სახიფათო ნიშნები .....	22
რა არის აუტიზმი? .....	22
ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს აუტიზმს .....	22
დედა-შვილის ურთიერთობა ბავშვის მუცლადყოფნისას .....	23
მშობელი არ არის დამნაშავე .....	27
ფსიქოლოგის დახმარება ფეხმძიმე დედას .....	29
რთული მშობიარობა .....	31
პირველი კონტაქტი ახალშობილთან, რომელიც არ არის ისეთი, როგორიც წარმოგვედგინა .....	33
პირველი სახიფათო ნიშნები .....	34
როცა ბავშვს წოვა არ მოსწონს .....	34
მომვლელების როლი სამშობიაროში .....	35
შინ დაბრუნება: პირისპირ დარჩენა ჩვილთან, რომელიც სხვებს არ ჰგავს .....	36
პოლის ამბავი .....	39
როცა სიმპტომები მოგვიანებით იჩენს თავს .....	40
ვის მივმართოთ?.....	42
ოჯახის წევრები .....	42
პედიატრი.....	45
ბავშვთა ბაგა და PMI: პრევენცია .....	47
ემილი.....	49
სონია .....	50

დიაგნოსტიკა.....	50
ვინ და როგორ სვამს დიაგნოზს?.....	51
განვითარების შეფასება ადრეულ ასაკში.....	52
რამდენიმე კომენტარი სადიაგნოსტიკო მეთოდების შესახებ... ..	57
0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვები .....	57
ბავშვები ორი წლიდან .....	59
ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა .....	60
რით აიხსნება დიაგნოსტიკის დაგვიანება? .....	64
პროფესიონალთა არასაკმარისი ცოდნა .....	65
მშობლების შიში .....	66
პროფესიონალების შიში .....	67
დიაგნოზი და მშობლები: მძიმე დიალოგი .....	67
დიაგნოზის გაბეჭად .....	70
აუტიზმის სხვადასხვა კლასიფიკაცია .....	70
აუტიზმი კანერის მიხედვით .....	70
აუტიზმი მსოფლიოს ჯანდაცვის	
ორგანიზაციის თვალსაზრისით .....	72
აუტიზმი ფრანგული კლასიფიკაციის მიხედვით.	
ფსიქიკური დარღვევები .....	73
სად გადის აუტიზმის განმარტების ზღვარი? .....	75
განმარტების გაფართოება .....	76
ჰგავს, მაგრამ აუტიზმი არ არის: მსგავსი სიმპტომები.....	78
• ასპერჯერის სინდრომი .....	79
• განვითარების არასპეციფიკური დარღვევები (TED -NS) .....	81
• რეტის სინდრომი .....	81
• დეზინტეგრაციის დარღვევები .....	82
შენიშვნები დიაგნოსტიკის შესახებ .....	82
სიზუსტის აუცილებლობა .....	82
განვითარების სხვადასხვაგვარობა .....	84

## თავი 2: აუტისტი გავშვი ოჯახში

აუტისტი გავშვის ყოველდღიურობა .....	88
მეტისმეტად მშვიდი ჩვილი .....	88
დღეები და ღამეები .....	90
ჭამის დრო .....	90
ნოვა .....	91
მოვლა .....	92
ღამეა. ჩვილს არ სძინავს .....	93
ყვირილი, რომელიც გვაშინებს .....	94
გავიგოთ, რა სჭირს ჩვილს.....	96
მშობლების რეაქცია .....	97
როგორ გამოხატავენ მშობლები საკუთარ ტკივილს? .....	99
ედუარდის ამბავი.....	101
დედა და მამა ტკივილს სხვადასხვაგვარად გამოხატავენ .....	102
წყვილის გამოცდა.....	103
ჩვენი რჩევები .....	104
აუტისტი გავშვი და მისი და-ძმა.....	109
როცა უფროსი ბავშვია აუტისტი.....	109
როცა აუტისტი ბავშვი უმცროსია .....	112
ჩვენი რჩევები .....	114
დიდი ოჯახი.....	117
ჩვენი რჩევები .....	118
აუტისტი გავშვი და ბარე სამყარო .....	119
აუტისტი ბავშვის შეგრძნების თავისებურებები .....	119
უჩვეულო დამოკიდებულება ხმის მიმართ.....	119
მხედველობის დანაწევრებული ველი.....	121
ჩვენი რჩევები.....	121
ინდიფერენტულობა ცუდი სუნის მიმართ.....	122
გემოს თავისებური შეგრძნება.....	123
შეხების უჩვეულო შეგრძნება.....	125

აუტისტი ბავშვი სივრცეში.....	126
აუტისტი ბავშვის უცნაური ჟესტიკულაცია.....	128
აუტისტი ბავშვი და სიტყვა.....	130
აუტისტი ბავშვის მოთხოვნილება, შეაჩეროს და მართოს დრო....	132
აუტისტი ბავშვი და მისი შფოთვა.....	135
აუტისტი ბავშვის მონყვლადობა.....	138
როგორ ამყარებს აუტისტი ბავშვი ურთიერთობას .....	139
<i>სხვაზე „მინებება“</i> .....	142
<i>აუტისტი ბავშვის „ყოვლისშემძლეობა“</i> .....	143
<i>აუტისტი ბავშვის გრძნობები და ქცევა</i> .....	144
<i>აუტისტი ბავშვი და ოიდიპოსის კომპლექსი</i> .....	148

### თავი 3: აუტისტი ბავშვი და სხვაები

პირველი ნაბიჯები სოციალიზაციისკენ: უცხოთა შზარა .....	151
საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ბავშვი სოციალურ	
ურთიერთობას ინყებს.....	153
<i>პროგრესი კიდევ საჭიროა.....</i>	155
სხვა სკოლამდელი დაწესებულებები.....	157
სკოლაში სწავლის უფლება .....	159
ინტეგრაცია თუ სეგრეგაცია: სიტყვა და საქმე .....	159
<i>ინტეგრაცია სკოლაში: ადაპტირებული სწავლება.....</i>	161
<i>სკოლაში მიყვანა მიუხედავად ყველაფრისა –</i>	
<i>კარგია თუ არა ეს აუტისტი ბავშვისთვის? .....</i>	163
<i>აღზრდისა და სკოლაში სწავლების გამიჯვნა.....</i>	165
მონაცემები საფრანგეთში აუტისტი ბავშვების	
სკოლაში სწავლების შესახებ .....	168
<i>CLIS I-ის დაარსება .....</i>	170
<i>დამხმარეები სკოლაში (AVS):</i>	
<i>არის კი ეს საკმარისი ინტეგრაციისთვის? .....</i>	172
<i>სკოლისა და ფსიქიატრიული სამსახურის თანამშრომლობა ....</i>	176



ვის მიემართოთ და რა ვქნათ, თუ ბავშვს სკოლაში არ იღებენ? .....	179
როგორ უნდა შეარჩიოთ თქვენი შვილისთვის საუკეთესო სკოლა? .....	180
რჩევები CLIS-ის მასწავლებლებს .....	182

**თავი 4: აუტიზტი გავშვის დახმარების სახეები**

შპკითხვაები, რომლებიც აუტიზტ გავშვთან მუშაობისას ჩნდება... ..	185
ასოციაციები მნიშვნელოვანია .....	186
პრობლემის ხედვა განსაზღვრავს დახმარების ფორმას .....	187
აუტიზმი – დაავადება თუ უნარშეზღუდულობა? .....	187
რას ვფიქრობთ ჩვენ .....	189
მოუტანს კი სარგებელს აუტიზტ ბავშვს სტატუსის შეცვლა? .....	190
საჭირო დანესებულებების ნაკლებობა .....	193
როგორ განვსაზღვროთ არჩეული მეთოდის ეფექტიანობა? .....	194
დახმარების სხვადასხვა სახე .....	196
სამედიცინო დახმარება .....	196
ქიმიური და ნევროლოგიური მკურნალობა .....	196
ვიტამინოთერაპია და კვების რეჟიმი .....	198
დახმარება სწავლებით .....	200
TEACCH-ის მეთოდი .....	200
• რას ვფიქრობთ ჩვენ .....	204
მეთოდი ABA ი. ო. ლოვაასის მიხედვით .....	208
• რას ვფიქრობთ ჩვენ .....	210
• აქვს თუ არა აზრი აუტიზტი ბავშვის დასჯას .....	212
„კომუნიკაცია“ ასისტენტის დახმარებით .....	215
მაკატონის სისტემა .....	217
დახმარება სხვადასხვა მეთოდით .....	217
• ვარჯიში სმენითი აღქმის გაუმჯობესებისათვის .....	217

- რას ვფიქრობთ ჩვენ ..... 218
- სენსომოტორული ხელსაწყო ..... 218
- რას ვფიქრობთ ჩვენ ..... 219
- ყოველდღიური თერაპია ..... 219
- რას ვფიქრობთ ჩვენ ..... 220
- თერაპიის სახეები, რომლებსაც სენსორული ან  
ფსიქომოტორული განვითარების მეთოდებს უწოდებენ ..... 220
- რას ვფიქრობთ ჩვენ ..... 222
- სწავლების ფრანგული მეთოდები ..... 222
- „ინტეგრირებული“ (შერეული) დახმარება ..... 223
- თერაპია ურთიერთობითა და ფუნქციითა განვითარებით ..... 223

**თავი 5: როგორ უნდა იყოს დახმარება ეფექტიანი**

ფსიქონაღალიტიკური მკურნალობა: სამი სხვადასხვა

მიმართულება ..... 226

- კომპლექსური მუშაობა დავიდთან ..... 226
- ბაბუის სიკვდილი ..... 226
- მიტოვებულობის მოუწელებელი განცდა ..... 228
- „მკვდარი დედის“ სინდრომი ..... 230
- თერაპევტთან ურთიერთობის მნიშვნელობა ..... 233
- დანიელი და მისი ოჯახი: ადრეული ეფექტიანი დახმარება .... 236
- ნიშნები, რომლებიც დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა ..... 236
- ოჯახი თერაპიულ სივრცეში ..... 238
- სირილი – მარაბუს შთამომავალი, ანუ კულტურული  
თავისებურებების გათვალისწინება ..... 241

რა არის წარმატებული ფსიქონაღალიტიკური თერაპიის  
კრიტერიუმი? ..... 244

- შეხვედრა კომპეტენტურ და მოტივირებულ  
ფსიქონაღალიტიკოსთან ..... 245
- იცოდეთ, ეს ხანგრძლივი სამუშაოა... ..... 245

...და თავისი სპეციფიკა აქვს .....	246
მშობლების როლი .....	247
თერაპიის მორგება .....	248
ოჯახური თერაპია.....	249
ჯგუფური თერაპია.....	250
გაიაზრეთ ყველაფერი, რაც ყოველდღიურობაში ხდება .....	251
ფიზიკური კონტაქტი .....	251
აგრესიის შემცირება .....	253
თერაპიისა და სწავლების ურთიერთშეთანხმება .....	256
<b>რა არის გამოჯანმრთელების კრიტერიუმი? .....</b>	<b>260</b>
რას ნიშნავს გამოჯანმრთელება? .....	260
<b>დასკვნა .....</b>	<b>263</b>
<b>დანართი: სიღრმისეული გაგებისათვის .....</b>	<b>265</b>
<b>თეორიები აუტიზმის წარმოშობის შესახებ .....</b>	<b>265</b>
ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია .....	266
მეცნიერული მიდგომა.....	266
ნეირომეცნიერების მიდგომა .....	270
• რას ვფიქრობთ ჩვენ .....	270
რა მოგვცა ნეიროანატომიურმა კვლევამ .....	271
გენეტიკური თეზები .....	274
გენეტიკური კვლევების როლი .....	278
რას ვფიქრობთ ჩვენ.....	279
ურთიერთობებზე ფოკუსირებული მიდგომა .....	280
• აუტიზმის წარმოშობის მიზეზები ფსიქონალის	
მიხედვით .....	281
• მშობლები და ბავშვი სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ....	282
• რას ვფიქრობთ ჩვენ.....	283
• სამყაროს აღქმის დარღვევა .....	285
თეორიული უთანხმოების საფუძველი.....	287

ფსიქოანალიტიკოსები აკრიტიკებენ	
ნეიროკოგნიტივისტებსა და გენეტიკოსებს .....	287
ნეიროკოგნიტივისტები აკრიტიკებენ	
ფსიქოანალიტიკოსებს .....	290
• ფსიქოანალიტიკოსები მშობლებს ადანაშაულებენ .....	290
ბრუნო ბეტელჰაიმის თეორიის უკეთ გაგებისათვის .....	291
• ფსიქოანალიზი სათვალავში არ აგდებს სწავლებას .....	294
• ფსიქოანალიზი არ არის ადაპტირებული აუტიზმისთვის..	295
• ფსიქოანალიზი მეცნიერება არ არის .....	297
• ფსიქოანალიზი – ეს დრო და ფულია.....	299
უფრო ნათლად აუტისტი ბავშვის დარღვევის შესახებ.....	301
ნეიროკოგნიტიური დარღვევები .....	301
აქმის (პერცეფციული) დარღვევები.....	301
ცენტრებს შორის კავშირების დარღვევა .....	302
გონებრივი განვითარების დეფიციტი .....	303
ქმედებათა შესრულების უნარის დარღვევა .....	303
„მკვდარი დედის“ ცნება.....	304
ასპერგერის სინდრომი: შეიძლება თუ არა	
ვილაპარაკოთ აუტიზმზე?.....	305
დანსეაზულები აუტისტი ბავშვისთვის .....	306
Le SESSAD.....	306
Le CAMSP .....	307
Le CMPP.....	307
სპეციალიზებული საბავშვო ბაგა-ბალები და „მწვანე სახლები“ ...	308
დღის სტაციონარი .....	308
საოჯახო ტიპის სპეციალური ცენტრები.....	309
სპეციალური საცხოვრებელი სახლები .....	309
Le IME .....	309

## წინასიტყვაობა

მარკ ბელასენისა და ოლგა შავერნეს „აუტისტი ბავშვი“ 2007 წელს პარიზში გამოქვეყნდა. წიგნი მშობლების დასახმარებლად დაინერა. ვფიქრობთ, ქართული თარგმანი არა მარტო მშობლებს, არამედ ფსიქოლოგებს, ექიმებს და, ალბათ, ფართო საზოგადოებასაც დაინტერესებს: ქართულ ენაზე ხომ მსგავსი ლიტერატურა თითქმის არ არსებობს, აუტიზმის პრობლემა კი სულ უფრო აქტუალური და მტკივნეული ხდება ჩვენში.

წიგნის ავტორები ფრანგი ფსიქონალიტიკოსები არიან, რომლებიც კლინიკებსა და სხვადასხვა სპეციალურ დაწესებულებაში ხანგრძლივად მუშაობდნენ აუტისტ ბავშვებთან და მოზარდებთან. უკვე 15 წელია, მათი კოლეგები და თანამოაზრეები საქართველოშიც რეგულარულად ჩამოდიან და საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებენ. ფრანგი პროფესიონალების თანადგომით თბილისშიც გაიხსნა მწვანე სახლი – დაწესებულება, რომლის კარიც ღიაა მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის და, რა თქმა უნდა, აუტისტი ბავშვებისთვისაც. სწორედ აქ, „მწვანე სახლში“, ბუნებრივად გაჩნდა ამ წიგნის თარგმნის საჭიროება. გამოცდილებით ვიცით, რომ საკითხები, რომლებიც წიგნშია განხილული, ძალიან აინტერესებთ მშობლებს, განსაკუთრებით კი აუტისტი ბავშვების მშობლებს.

აუტიზმის სიღრმისეული, ფსიქონალიტიკური ხედვა, ფსიქონალიტიკური თერაპიის შესაძლებლობები, რაზეც წიგნში ვრცლად არის ლაპარაკი, ზოგჯერ ქართველი სპეცია-

ლისტებისთვისაც უცნობია, თუმცა ის დასავლეთის არაერთი ქვეყნის სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში წარმატებითაა დანერგილი. ვისურვებდით, რომ ეს ცოდნა-გამოცდილება ჩვენშიც იყოს გამოყენებული ამ სფეროში არსებული მიძიმე ვითარების გასაუმჯობესებლად, მრავალფეროვანი დაწესებულებების შესაქმნელად აუტიზმის პრევენციისა და მკურნალობისთვის და ბავშვებისა და მათი მშობლების დასახმარებლად. ვფიქრობთ, ცოდნის უგულვებელყოფას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის.

ეს წიგნი, ალბათ, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ბავშვთა აუტიზმზე, ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, ბავშვებზე, მოზარდებზე, მათ ოჯახებზე... იქნებ ყველამ ერთად შევძლოთ რალაცის გაუმჯობესება, იქნებ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე პერსონალსაც დავეხმაროთ სათანადო მომსახურების მოწყობაში...

დასასრულ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ იმ ბავშვებსა და მათ მშობლებს, რომლებიც „მწვანე სახლში“ დადიოდნენ, ვისთანაც ვიმუშავეთ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ; იმათაც, ვისთანაც ასეთი შედეგი ვერ მივიღეთ, მაგრამ თავი დაგვამახსოვრეს, გამოცდილების შეძენაში დაგვეხმარნენ. სწორედ ბავშვებთან ურთიერთობამ დაგვანახვა ამ წიგნის საჭიროება და მისი ქართულად თარგმნის სურვილი გაგვიჩინა.

მ. ტარასაშვილი

## შესავალი

აუტისტი ბავშვებთან 30 წელზე მეტხანს ვიმუშავეთ. ეს დიდი გამოცდილება უფლებას გვაძლევს, არ გავიზიაროთ დამკვიდრებული მოსაზრება, რომ აუტიზმი შეუქცევადი პათოლოგიაა. გვინდა, მშობლები დავარწმუნოთ, რომ ასე არ არის. კიდევ ერთი წიგნი, – იფიქრებთ თქვენ. დიახ, მაგრამ ეს სხვანაირი წიგნია. აქ არ არის რთული მეცნიერული თეორიები და განსაზღვრებები. ეს თქვენი წიგნია, მშობლებო, რათა აუტისტი ბავშვის აღზრდაში, სწავლებასა და მკურნალობაში დაგეხმაროთ, მასთან ყოველდღიური ურთიერთობა გაგიადვილოთ. დარწმუნებული ვართ, რომ შესაფერისი პირობების შექმნით შესაძლებელია აუტისტური სიმპტომების დაძლევა და ბავშვის მდგომარეობიდან გამოყვანა. ეს უტოპია არ არის, ამის თქმის საფუძველს აუტისტი ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, მათი ფსიქიკური მდგომარეობისა და მათთან ურთიერთობის მუდმივი ანალიზი გვაძლევს, ასევე ვეყრდნობით იმ ფსიქოთერაპევტებსა და სპეციალისტებს, რომლებიც მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და რომლებთანაც რეგულარული დისკუსიები გვაქვს.

აუტისტი ბავშვების მშობლების დასახმარებლად 1992 წელს დავაარსეთ აუტიზმთან მებრძოლი ასოციაცია (ALCAI). გვინდოდა ახალი, მრავალფუნქციური ორგანიზაციის შექმნა იმ პატარებისთვის, რომლებსაც აუტისტური ნიშნები აღმოაჩნდათ. მათ თანდათანობით ვუბიძგებდით მნიშვნელოვანი წინ-

სვლისკენ, მშობლებს კი მხარში ამოვუდგებოდით, რომ იმედი არ დაეკარგათ.

სამწუხაროდ, ახალი სტრუქტურის შექმნა ვერ მოვახერხეთ, რადგან მთავრობის აზრით, „ილ-დე-ფრანსის“ რეგიონში უკვე საკმარისადაა ასეთი დაწესებულება.

ჩვენ გვინდა, საზოგადოებას გავუზიაროთ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ სფეროში გვაქვს.

დღეს ყველაფერი, რაც ამ თემაზე იწერება, ან სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი, ან პოპულარული ენით სწავლების ამა თუ იმ მეთოდს აღწერს. ჩვენ კი გვსურს, მშობლების იმ კითხვებს გავცეთ პასუხი, რომლებიც მათ აწუხებთ და ამასთანავე შვილებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში დავეხმაროთ.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რაც უფრო მცირე ასაკში ვინცებთ ბავშვთან მუშაობას კომპლექსურად, ფსიქოთერაპიული და სწავლების მეთოდებით, მით მეტადაა შესაძლებელი ბავშვის აუტისტური სიმპტომების დაძლევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს სხვა ორგანული (ანუ რომელიმე ორგანოს დაზიანებასთან დაკავშირებული) დარღვევა არ აქვს. მრავალი პროფესიონალისგან განსხვავებით, რომლებიც აუტიზმს შეუქცევადად მიიჩნევენ, დავრწმუნდით, რომ აუტისტ ბავშვებს შეუძლიათ, თვითონვე გვიჩვენონ გამოჯანმრთელების საკუთარი გზა.

საზოგადოდ, ბავშვთა აუტიზმი განმარტებულია, როგორც განვითარების მძიმე დარღვევა. ეს ასეა. თუმცა ბავშვი იარლიყის ნაადრევად მიწებებისაგან რომ დავიცვათ, უპირატესობას ასეთ განსაზღვრას მივანიჭებთ: აუტიზმი არის იმ დარღვევათა ერთობლიობა, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვის შესაძლებლობაზე, დაამყაროს სხვებთან ურ-



თიერთობა. ასეთი ფორმულირება საშუალებას გვაძლევს, იმედი არ გადავიწუროთ და ბავშვს განვითარების შანსი მივცეთ.

ითვლება, რომ აუტიზმი კომპლექსური (ბევრი მიზეზით გამონწვეული და მრავალნაირი გამოვლინების მქონე) პათოლოგიაა, რომელსაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სხვადასხვა ახსნას უძებნიან და ამიტომ ძალიან რთულია, სრულად გავიაზროთ ის. სპეციალისტთა კონფლიქტები, განსხვავებული მოსაზრებები, ცხადია, მშობლებს აბნევს და ხელს უშლის საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე აუტიზმის წარმოშობის მიზეზებს ეხება.

აუტიზმის წარმოშობის მიზეზები მეცნიერებისთვის მწვავე, საკამათო, გადაუჭრელი საკითხია. დავა ამ თემაზე დღემდე გრძელდება, აუტისტი ბავშვების მშობლებს კი არავინ ეხმარება იმ პათოლოგიის ნათლად გაგებაში, რომელთანაც ყოველდღიური შეხება აქვთ. საბოლოოდ მშობლები ზარალდებიან, რადგან აღარ იციან, რა არის კარგი მათი შვილებისთვის.

ჩვენ ვთვლით, რომ არსებული თეორიები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ისინი აუტიზმს სხვადასხვა მხრიდან განიხილვენ და ერთმანეთს ავსებენ, რის გამოც თითოეული მათგანი ძირითადად მისაღებია – ბავშვის სიმპტომებს ხომ სხვადასხვა კუთხით გააზრება და ინტერპრეტაცია სჭირდება.

მედია ხშირად აშუქებს მეცნიერების ახალ შეხედულებებს. ეს ხანდახან მშობლებს ცრუ იმედს უჩენს. ცხადია, მეცნიერები ცდილობენ, კვლევები აუტიზმის შესახებ ზუსტი და მრავალფეროვანი იყოს. ისინი სიახლეებს ეძებენ და მშობლებს სხვადასხვა გზას სთავაზობენ. ხშირად მშობლებს ამ მეთოდების არსი არ ესმით და მათგან ერთ-ერთის ამორჩევაც ძალიან უჭირთ.

მშობლების რეალურ პრობლემებზე კი მედია იშვიათად საუბრობს. პათოლოგიის თავისებურებები, ზუსტი დიაგნოსტიკის პრობლემა, მძიმე ფორმები, სამკურნალო დაწესებულებების ნაკლებობა, არასაკმარისი მომსახურება, მეთოდის არჩევის სირთულე... აი, ამ მტკიცნეულ პრობლემათა პირისპირ ხშირად მშობლები მარტონი რჩებიან...

მიუხედავად იმისა, რომ დღეს აუტიზმის ნიშნების შემჩნევა უკვე დაბადების პირველივე თვეებშია შესაძლებელი, ადრეული ზუსტი დიაგნოსტიკა ჯერ კიდევ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. არადა, პათოლოგიის ნიშნების ადრეულად აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დროული ჩარევის საშუალებას იძლევა, სანამ ეს ნიშნები გართულდება და ბავშვის მდგომარეობა დამძიმდება.

სამწუხაროდ, არც კომპეტენტურ პროფესიონალთან მოხვედრაა ადვილი. მიღებას დაახლოებით ერთი თვე მაინც უნდა ელოდოთ. შემდეგ უკვე, როგორც წესი, სამკურნალო დაწესებულებაში ადგილის პოვნას კიდევ უფრო დიდი დრო მიაქვს. ყველა მშობელს გამოუვლია ეს ეტაპი. რომელი დაწესებულება მიიღებს ჩვენს ბავშვს? წლების მანძილზე ამ მხრივ არაფერი იცვლება.

„ქალბატონო, დოსიე დროზე არ გაგიკეთებიათ...“

„წუხვარ, ქალბატონო, მაგრამ თქვენი შვილი უკვე დიდა...“

„სამწუხაროდ, ბატონო, თქვენი შვილის პათოლოგია ძალიან მძიმეა (ან საკმარისად მძიმე არაა) და ჩვენ მას ვერ მივიღებთ. ჩანერეთ თქვენი შვილი სიაში და გააგრძელეთ ძებნა...“

ამდენი უარის შემდეგ ბევრს უიმედობა იპყრობს: „რა უნდა ვქნათ?“

„ეძებთ, ეძებთ, ბელგიაშიც სცადეთ. საფრანგეთში ასეთი დაწესებულებების ნაკლებობის გამო ფრანგული სახელმწიფო დაზღვევა ბელგიაშიც იხდის აუტისტი ბავშვების მკურნალობის ხარჯებს...“

თითოეული უარი ისევ და ისევ ამ სფეროში არსებულ მიძიმე მდგომარეობას გვახსენებს.

მშობლები უკიდურეს მდგომარეობამდე არიან მისული. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ პიროვნული და ოჯახური სიმშვიდის აღსადგენად, ქმნიან ასოციაციებს, ეძებენ გამოსავალს, საკუთარი შვილებისათვის მაინც.

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მშობლებს და ვუპასუხოთ იმ კითხვებს, რომლებიც მრავლად აქვთ და რომლებზეც პროფესიონალებისგან პასუხი არ მიუღიათ.

ნიგნის პირველ თავში დედის ფეხმძიმობიდან მოყოლებული ქრონოლოგიურად მიმოვიხილავთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ეს დაგეხმარებათ, აუტიზმის ნიშნები თავიდანვე შეამჩნიოთ. ვისაუბრებთ მშობლების დანაშაულის გრძნობაზე. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ თავის დროზე ეს მტკივნეული თემა ფსიქოანალიზმა უსაფუძვლოდ წამოსწია წინ და თუ ფსიქოთერაპიულ მეთოდებზე უარს ვიტყვით, ისიც წარსულს ჩაბარდება. ეს შეცდომაა. ვფიქრობთ, ასევე შეცდომაა ფსიქოთერაპიის, როგორც აუტიზმის სამკურნალო მეთოდის, უარყოფა.

ამასთან, აღვწერთ ჩვილის თავისებურებებს, რათა სახიფათო და დროებითი (გარდამავალი) სიმპტომების ერთმანეთისგან გარჩევა შეძლოთ. შემდეგ კი ვეცდებით, დაგეხმაროთ სწორი გზის პოვნაში: ვის უნდა მიმართოთ, როგორ უნდა გაიგოთ, რას ნიშნავს ესა თუ ის დიაგნოზი. აუტისტი ბავშვის განვითარების შესაძლო ვარიაციებზეც ვისაუბრებთ.

იმისთვის, რომ წიგნის კითხვა არ გაგიძნელდეთ, ერთმანეთისგან გავმიჯნეთ კონკრეტული და ზოგადი საკითხები. სამეცნიერო თეორიებსაც შეძლებისდაგვარად გვერდი ავუარეთ. თეორიების მიმოხილვას, სხვა გამოსადეგ ინფორმაციასთან ერთად, დანართში ნახავთ. ვეცადეთ, დანართში მოცემული ინფორმაცია ცხადი და გასაგები ყოფილიყო, რათა სამეცნიერო დებატებში გარკვევა და გადწყვეტილების მიღება არ გაგჭირვებოდათ.

მეორე თავში თქვენი ყურადღება გავამახვილეთ აუტისტი ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იმ პრობლემებზე, რომელიც მის ოჯახს აქვს. შემოგთავაზეთ კონკრეტული რჩევები.

მესამე თავი ოჯახებისთვის ყველაზე რთულ და მწვავე საკითხს – საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი აუტისტი ბავშვის სოციალიზაციასა (საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართვას) და სკოლაში სწავლებას დავუთმეთ.

ბოლო, მეოთხე და მეხუთე თავებში კი განვიხილეთ დახმარების ის სახეები, რომლებიც დღეს არსებობს აუტისტი ბავშვისთვის და, რა თქმა უნდა, მათ შესახებ ჩვენი აზრიც გამოვთქვით. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ დაგეხმაროთ იმის გარკვევაში: ვის უნდა მიმართოთ და როგორ უნდა აარჩიოთ სამკურნალო და სასწავლო დაწესებულებები; ვისგან რა დახმარებას უნდა ელოდეთ; არსებობს თუ არა იდეალური მკურნალობა აუტიზმის დასაძლევად; რის გაუმჯობესება შეუძლია არსებულ მეთოდებს აუტისტი ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.

ასევე იმედი გვაქვს, რომ წიგნის დახმარებით თითოეულ დედას ცოტათი მაინც გაუადვილდება იმ გზაზე დადგომა, რომელიც აუტისტ შვილთან ერთად აქვს გასავლელი და რომელიც, როგორც ვიცით, ძალიან გრძელი და სირთულეებით სავსეა.